საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

სპარტა

ქალაქ-სახელმწიფო სპარტა დაარსდა ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში საბერძნეთის სამხრეთ ნაწილში. სპარტას, ისევე როგორც სხვა უამრავ უძველეს სახელმწიფოს, საკმაოდ რთული სოციალური სისტემა ჰქონდა. ფაქტობრივად, საზოგადოება იყოფოდა სრულუფლებიან, არასრულუფლებიან და დამოკიდებულ კატეგორიებად. ბოლო კატეგორიას უუფლებო მიწის მუშები მიეკუთვნებოდნენ. ისინი სპარტელ მეომრებს ემსახურებოდნენ, რადგან მათთვის სირცხვილად ითვლებოდა მიწის დამუშავება.

სპარტა უპირველესად იმითაა ცნობილი, რომ სპარტელები კარგი მეომრები იყვნენ. არსებული წყაროების მიხედვით, სპარტელთა არმია საკმაოდ ძლიერი იყო. მეომრები გამოირჩეოდნენ საბრძოლო ხელოვნების უბადლო ცოდნითა და შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით. სპარტელების ცხოვრების წესი ძირითადად ასოცირდება მხოლოდ ბრძოლასთან, ხმალთან, ფართან, ჩაფხუტთან.

ეს ყველაფერი კი სპარტაში არსებული აღზრდის მკაცრი სისტემის შედეგი იყო. მას „აგოგეს“ ეძახდნენ, რაც ბერძნულად ,,წაყვანას“ ნიშნავს. ცნობილია, რომ ბიჭები 6-7 წლის ასაკიდან მიჰყავდათ სამხედრო სამსახურისათვის აღსაზრდელად. სპარტელები დახელოვნებული იყვნენ აღზრდის საქმეში. ისინი ჩვილებს არც არტახებს უჭერდნენ და არც ჩვრებში ახვევდნენ. ასე უფრო ლაღად იზრდებოდნენ პატარები. მათ აჩვევდნენ სიბნელესა და მარტოობას, რათა შიში დაეძლიათ. აღზრდისას ყურადღება ექცეოდა მომავალი ჯარისკაცის ფიზიკურ წრთობას. ასევე ისეთ თვისებებს, როგორიცაა: საქმისადმი ერთგულება, ამტანობა და გამძლეობა. უმკაცრეს სამხედრო აღზრდას სპარტელები 20 წლამდე იღებდნენ. სირბილი, ხტომა, ბრძოლის ხელოვნება, დისკოს ტყორცნა - ჩვეულებრივი ყოველდღიური სავარჯიშოები იყო. შემდეგ მთელი ცხოვრება ისინი თანამებრძოლებთან ერთად რჩებოდნენ სამხედრო განაყოფში. იქ ერთად ვარჯიშობდნენ, იბრძოდნენ, ტრაპეზს იყოფდნენ (ერთად სადილობდნენ).

სპარტაში მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა გონებრივი შრომა. მაგრამ სპარტანული აღზრდა გონებრივ წვრთნასაც, სხარტ, მოკლე და საზრიან სიტყვა-

LIVEWORKSHEETS

პასუხსაც („ლაკონური საუბარი“) გულისხმობდა. სპარტელები ძალიან მოკლედ და გასაგებად საუბრობდნენ. თურმე, როდესაც სპარსეთის მეფემ ქსერქსემ სპარტელებს ფარებისა და სხვა იარაღის ჩაბარება მოსთხოვა, მათ ასე უპასუხეს – „მოდი და წაიღე“. „ჩვენი ისრები და შუბები მზეს დაგიბნელებენ“, – დაემუქრნენ სპარსელები. „მაშინ ჩვენ ჩრდილში ვიბრძოლებთ“, – უპასუხეს სპარტელებმა.

საბრძოლო ხელოვნების გარდა სპარტელებს ასწავლიდნენ წერას, კითხვას, სიმღერას. ცეკვის რამდენიმე სახეობასაც კი. სპარტელები იყვნენ პირველები ისტორიაში, რომლებმაც საბრძოლო მიზნით გამოიყენეს მუსიკა და სიმღერა. ეს კეთდებოდა სამწყობრო სიარულისათვის დროს რიტმული ნაბიჯისთვის. სპარტელებს აკრძალული ჰქონდათ ჩირაღდნების გამოყენება. მიაჩნდათ, რომ მათ გარეშე ღამით უფრო მამაცურად ივლიდნენ გზებზე ომის დროს.

სპარტანული აღზრდის წყალობით, სპარტას საბერძნეთში საუკეთესო ქვეითი ლაშქარი ჰყავდა. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სპარტა ერთადერთი უგალავნო ქალაქი იყო, რადგან სპარტელისთვის სირცხვილად ითვლებოდა გალავანიან ქალაქში ცხოვრება.

ბერძნული ტრადიციის თანახმად, ახალგაზრდობის მკაცრი აღზრდის მეთოდების შემუშავება ლიკურგოსის სახელს უკავშირდება. მან ჩამოაყალიბა ძლიერი სამხედრო სახელმწიფო, რომელმაც ლიკურგოსის სიცოცხლის პერიოდში მთელ ძველ საბერძნეთზე შეძლო გაბატონება. ლიკურგოსმა ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა, რადგან სამართლიანობითა და სიბრძნით გამოირჩეოდა. მისი გარდაცვალების ამბავიც კი განსაკუთრებული იყო. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო მოღვაწის სიკვდილი ღირსეული უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით გარდაცვალებიდან ცოტა ხნით ადრე ის გამოეთხოვა ახლობლებს, უარი თქვა საკვებზე და უშიშრად დაელოდა თავის აღსასრულს. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი დაწვეს და ფერფლი ზღვაში გადაყარეს. სპარტას სიძლიერეს არაფერი დაჰკლებია მანამ, სანამ აქ ლიკურგოსის კანონები მოქმედებდა.

სპარტა ანტიკური სამყაროს ყველაზე ძლიერი და მეომარი სახელმწიფო იყო. მისი ცხოვრების წესს წარმოადგენდა: არა სიმხდალეს! არა შიშს! არა კაპიტულაციას! არსებობს მხოლოდ ღირსება და დიდება!

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რა იყო დამახასიათებელი უძველესი სახელმწიფოების უმრავლესობისათვის?**

ა) ბავშვთა აღზრდის სასტიკი სისტემა ჰქონდათ.
ბ) საზოგადოება რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა.
გ) სრულუფლებიანი მოქალაქეები მეომრები იყვნენ.

2. **სპარტა ცნობილი იყო იმით, რომ:**

ა) მას ჰყავდა საბრძოლო ხელოვნებას დაუფლებული ძლიერი მეომრები.
ბ) მეომრებს ჰქონდათ საუკეთესო ხმლები, ფარები და ჩაფხუტები.
გ) მონები სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში იღებდნენ მონაწილეობას.

3. **რატომ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება სპარტაში ფიზიკურ განვითარებას?**

ა) სპარტაში გონებრივი შრომა მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა.
ბ) სპარტელებს სამხედრო სამსახურისათვის ჯარისკაცებად ამზადებდნენ.
გ) სპარტელებს ხშირად თავს სპარსელები ესხმოდნენ.

4. **ფიზიკური წვრთნის გარდა, რაზე ამახვილებდნენ აღზრდისას სპარტაში ყურადღებას?**

ა) განათლებასა და ამტანობაზე.
ბ) ერთგულებასა და გამძლეობაზე.
გ) მორჩილებასა და გონიერებაზე.

5. **რის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი ტექსტის მე-4 აბზაცში სპარტელთა და სპარსელთა ნათქვამი?**

ა) სპარსელთა დაუნდობლობის ნიმუშად.
ბ) სპარტელთა საზრიანი სიტყვა-პასუხის ნიმუშად.
გ) სპარტელთა ფიზიკური გამძლეობის ნიმუშად.

LIVEWORKSHEETS

6. **რა დანიშნულებით იყენებდნენ სპარტელები მუსიკას?**

ა) ისტორიაში დასამკვიდრებლად.
ბ) სამწყობრო სიარულისათვის.
გ) ცეკვის გაკვეთილებისათვის.

7. **რით მოიპოვა ლიკურგოსმა ხალხის სიყვარული?**

ა) ის, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ღირსეულად გარდაიცვალა.
ბ) ის სამართლიანობითა და სიბრძნით გამოირჩეოდა.
გ) მან აღზრდის ძალიან მკაცრი მეთოდები შეიმუშავა.

8. **რის შესახებ მოგვითხრობს ეს ტექსტი?**

ა) მეფე ლიკურგოსის გმირული თავგადასავლის შესახებ.
ბ) სპარტანული აღზრდის ძირითადი მიდგომების შესახებ.
გ) უძველესი სახელმწიფოების მართვის წესის შესახებ.

7. მზის სხივები **ალმაცერად** ეცემა მთების მწვერვალებს. აქ სიტყვა **ალმაცერად** ნიშნავს:

ა) ირიბად. ბ) პირდაპირ. გ) უხვად.

8. **ზედმიწევნით**, ანუ:

ა) ზერელედ. ბ) ზოგადად. გ) ზუსტად.

9. **პირმოთნე**, ანუ:

ა) ერთგული. ბ) ორპირი. გ) ჭკვიანი.

10. ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას არის:

ა) რიყე. ბ) ტევრი. გ) ჭალა.

11. გარკვეული ნიშნით შეგროვებული და ერთად თავმოყრილი ერთგვარი საგნები არის:

ა) კოლექცია. ბ) მადანი. გ) საცავი.

12. დაასრულე წინადადება: ხის კენწეროზე ქედნები ისხდნენ და ტკბილად ..... .

ა) დუდუნებდნენ. ბ) ღუღუნებდნენ. გ) ჭიკჭიკებდნენ.

LIVEWORKSHEETS

13. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
დასავლეთ საქართველოში ..... გავრცელდა ჩაის კულტურა.

ა) აჩქარებით. ბ) მარდად. გ) სწრაფად.

14. სიტყვა **ენამჭევრის** სინონიმია:

ა) ენაგრძელი. ბ) ენამწარე. გ) ორატორი.

15. **თავმდაბალი** ადამიანი თავისი ქმედებით გამოირჩევა სხვებისაგან.
რომელია **თავმდაბლის** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

ა) ამპარტავანი. ბ) ქველი. გ) ყოჩაღი.

16. ფრაზეოლოგიზმი **დაბალი ღობე** ნიშნავს:

ა) ადვილად დასაჩაგრს.
ბ) გადასასვლელად მოსახერხებელს.
გ) ძნელად დასათანხმებელს.

17. შუაკაცები მეზობლებს ვითომ ეხმარებოდნენ, სინამდვილეში კი **წყალს ამღვრევდნენ**. ფრაზეოლოგიზმი **წყალს ამღვრევდნენ** ნიშნავს:

ა) არაფერს აკეთებდნენ.
ბ) არეულობას იწვევდნენ.
გ) მწარედ ატყუებდნენ.

18. ჩემმა ბიძაშვილმა **გამაწბილა** და არდადეგებზე სოფელში არ ჩამოვიდა.
გამაწბილა, ანუ:

ა) გული მომიკლა. ბ) გული შემიღონა. გ) იმედი გამიცრუა.

LIVEWORKSHEETS